



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080182311344120

№ 1023

17 / მარტი / 2020 წ.

**შპს „ჯეოორთოს“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ**

**შემსყიდველი ორგანიზაცია:** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

**ტენდერის ნომერი:** NAT190012484;

**შესყიდვის ობიექტი:** 33100000 – სამედიცინო მოწყობილობები;

**პრეტენდენტი:** შპს „ჯეოორთო“ (ს/ნ: 416293549);

**წერილობითი შეტყობინების საფუძველი:** ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა.

**აღწერილობითი ნაწილი**

**1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება**

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2020 წლის 21 იანვარს წარმოდგენილ იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2020 წლის 21 იანვრის № MOD4200054603 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 702), რომლითაც სააგენტოს ეცნობა NAT190012484 ელექტრონული ტენდერიდან პრეტენდენტის – შპს „ჯეოორთოს“ (ს/ნ: 416293549) დისკვალიფიკაციის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

1.2. სააგენტომ შპს „ჯეოორთოს“, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის [GEOORTHO.L@GMAIL.COM](mailto:GEOORTHO.L@GMAIL.COM) მეშვეობით, 2020 წლის 23 იანვრის № 263 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. 2020 წლის 29 იანვარს შპს „ჯეოორთომ“ წარმოადგინა 2020 წლის 28 იანვრის განმარტება (რეგისტრაციის № 1106) ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო დისკვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

**2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია**

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მის მიერ სამედიცინო მოწყობილობების (CPV33100000) შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ NAT190012484 ელექტრონულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტმა – შპს „ჯეოორთომ“ (ს/ნ: 416293549) ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება, კერძოდ, სატენდერო კომისიამ დაადგინა, რომ პრეტენდენტის მიერ წარდგენილი სერტიფიკატები არ იყო ნამდვილი. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სატენდერო კომისიის 2019 წლის 22 ოქტომბრის № 15 სხდომის ოქმით, შპს „ჯეოორთოს“ მიეცა დისკვალიფიკაცია ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

**3. პრეტენდენტის პოზიცია**

პრეტენდენტის განმარტებით, მან შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა დავების განხილვის საბჭოში, რომელმაც საჩივარი არ დააკმაყოფილა. პრეტენდენტმა აღნიშნა, რომ მწარმოებელმა კომპანიამ მას თავად გადასცა სადავო სერტიფიკატები, რომლებიც პრეტენდენტს არ შეუცვლია. შესაბამისად, არაკეთილსინდისიერი ქმედებაც მწარმოებელმა კომპანიამ ჩაიდინა. პრეტენდენტმა ასევე აღნიშნა, რომ მას ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა ხსენებულ კომპანიასთან და არც კი უფიქრია, რომ დოკუმენტები ყალბი შეიძლებოდა ყოფილიყო.

#### 4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2019 წლის 25 ივნისს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა NAT190012484 ელექტრონული ტენდერი სამედიცინო მოწყობილობების (CPV33100000) შესყიდვის მიზნით.

4.2. NAT190012484 ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო შპს „ჯეოლოთომ“ (ს/ნ: 416293549).

4.3. სატენდერო კომისიის 2019 წლის 2 ოქტომბრის №13 სხდომის ოქმით პრეტენდენტს მოეთხოვა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება, მათ შორის, საქონლის ევროპული სტანდარტის დამადასტურებელი CE სერტიფიკატის წარდგენა.

4.4. 2019 წლის 2 და 7 ოქტომბერს პრეტენდენტმა NAT190012484 ელექტრონულ ტენდერში ატვირთა დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია, მათ შორის, „TUV SUD Product Service GmbH“-ის მიერ გაცემული №G2S171202824002 და №G2171202824003 CE სერტიფიკატები.

4.5. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2019 წლის 9 ოქტომბრის №MOD21901040463 მოხსენებით ბარათიდან ირკვევა, რომ პრეტენდენტის მიერ წარდგენილი № G2S171202824002 სერტიფიკატის პროდუქტის კატეგორიაში მითითებული იყო NAT190012484 სატენდერო დოკუმენტაციის №1 დანართის მე-2, მე-3, მე-7 და მე-8 პოზიციები, ხოლო № G2171202824003 სერტიფიკატის პროდუქტის კატეგორიაში – მე-4-მე-6 პოზიციები. ამასთან, მასერტიფიცირებელი ორგანოს – „TUV SUD Product Service GmbH“-ის ოფიციალურ ვებგვერდზე (<https://www.tuevsued.de/product-testing/certificates>) გადამოწმებულ იქნა პრეტენდენტის მიერ წარდგენილი სერტიფიკატები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ № G2S171202824002 სერტიფიკატის პროდუქტის კატეგორიაში მითითებული იყო NAT190012484 სატენდერო დოკუმენტაციის №1 დანართის მხოლოდ მე-7 და მე-8 პოზიციები, ხოლო № G2171202824003 სერტიფიკატის პროდუქტის კატეგორიაში საერთოდ არ იყო მითითებული შესასყიდი საქონელი.

4.6. სატენდერო კომისიის 2019 წლის 22 ოქტომბრის № 15 სხდომის ოქმზე თანდართული და სააგენტოში წარმოდგენილი ელექტრონული ფოსტის მიმონეროდან ირკვევა, რომ შემსყიდველი ორგანიზაცია დაუკავშირდა სერტიფიკატის გამცემ ორგანოს, რომელმაც დაუდასტურა, რომ პრეტენდენტის მიერ წარდგენილ სერტიფიკატში მითითებული საქონლის ჩამონათვალი არ ემთხვეოდა ორიგინალ სერტიფიკატებში მითითებულ ჩამონათვალს.

4.7. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სატენდერო კომისიის 2019 წლის 22 ოქტომბრის № 15 სხდომის ოქმით, შპს „ჯეოლოთომს“ მიეცა დისკვალიფიკაცია ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

4.8. 2019 წლის 28 ოქტომბერს პრეტენდენტმა სატენდერო კომისიის 2019 წლის 22 ოქტომბრის №15 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დავების განხილვის საბჭოში (DIS190012484\_02(NAT)).

4.9 დავების განხილვის საბჭომ 2019 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა პრეტენდენტის საჩივარი. საბჭომ აღნიშნა, რომ TUV-ის ოფიციალურ ვებგვერდზე (<https://www.tuevsued.de/product-testing/certificates>) № G2S171202824002 და № G2171202824003 სერტიფიკატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შედეგად დადგინდა განსხვავება მათსა და შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულ სერტიფიკატებს შორის, კერძოდ:

4.9.1. პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული № G2S171202824002 სერტიფიკატისგან განსხვავებით TUV-ის ოფიციალურ ვებგვერდზე არსებულ იმავე სერტიფიკატში არ იყო მითითებული არტაშანი SAM, დეკომპრესიის ნემსი და თერმოიზოლაციური საბანი;

4.9.2. პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული № G2171202824003 სერტიფიკატისგან განსხვავებით TUV-ის ოფიციალურ ვებგვერდზე არსებულ იგივე სერტიფიკატში არ იყო მითითებული ინდივიდუალური შესახვევი პაკეტი, მებრძოლის ლახტი CAT და ოკლუზიური სახვევი (Cest Seal).

#### სამოტივაციო ნაწილი

#### 5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ჯეოლოთო“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

## 6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

## 7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ იგი დისკვალიფიცირებულია ტენდერიდან ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „8“ ქვეპუნქტის თანახმად, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, თუ იგი ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერი ქმედებას.

7.4. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის თანახმად, აფიდავიტი წარმოადგენს წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერილი ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობისთვის. ამასთან, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანების დანართის № 1-ით დამტკიცებული აფიდავიტის ფორმისა და პირობების მიხედვით, გამოცხადებულ ტენდერში/ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით პრეტენდენტი ადასტურებს, რომ მას არ წარუდგენია მცდარი ინფორმაცია, რაც იყოფა ან უნდა სცოდნოდა პრეტენდენტს, ხოლო აფიდავიტის პირობების დარღვევის შემთხვევაში, იგი მიიღებს დისკვალიფიკაციას ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

7.5. სააგენტო ვერ გაიზიარებს პრეტენდენტის განმარტებას, ვინაიდან წარდგენილი ინფორმაციის სისწორეზე შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის წინაშე ეკისრება პრეტენდენტს და იგი მესამე პირის ქმედების გამო თავად აგებს პასუხს შემსყიდველი ორგანიზაციის წინაშე. მოცემულ შემთხვევაში კი დგინდება, რომ პრეტენდენტის მიერ NAT190012484 ელექტრონულ ტენდერში წარდგენილი სერტიფიკატები იყო შეცვლილი. ამდენად, მან ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება, კერძოდ, დაარღვია აფიდავიტის პირობები, რის გამოც არსებობს შპს „ჯეოლოთო“ შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.


7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი. იმავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, თუ დადგინდა, რომ პრეტენდენტმა/ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება, იგი ექვემდებარება შავ სიაში რეგისტრაციას და მის მიმართ გაფრთხილება არ გამოიყენება.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველები, რადგან დგინდება, რომ შპს „ჯეოლოთომ“ NAT190012484 ელექტრონულ ტენდერში ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება. შესაბამისად, შპს „ჯეოლოთო“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით და დაადგინა:

1. შპს „ჯეოლოთო“ (ს/ნ: 416293549) 2020 წლის 18 მარტს დარეგისტრირდეს შავ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელექტრონულად 

ლევან რაზმაძე